

აღნიშნული მომსახურების „წესები და პირობები“ არეგულირებს თქვენ მიერ ჩვენი ვებგვერდის გამოყენებას, რომელიც განთავსებულია მისამართზე - <https://www.supta.ge> რომელსაც ოპერირებს „სს აიდ გრუპი“.

მოცემული „წესები და პირობები“ განსაზღვრავს ჩვენი სერვისის გამოყენებას და განმარტავს, თუ როგორ ვაგროვებთ, ვიცავთ და გავცემთ ინფორმაციას, რომელსაც ვიღებთ თქვენ მიერ ჩვენი ვებგვერდების გამოყენებისას.

ჩვენსა და თქვენ შორის თანამშრომლობა მოიცავს აღნიშნულ „წესებსა და პირობებს“, მაშასადამე, თანამშრომლობაზე თანხმობით თქვენ ადასტურებთ, რომ გაეცანით პირობებს და ეთანხმებით მათ.

**გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ აღნიშნულ წესებსა და პირობებს**

ყველა მომხმარებელი, რომელსაც სურს კომპანიის ვებ პლატფორმით სარგებლობა, ვალდებულია დაეთანხმოს და დაიცვას ქვემოთ მოყვანილი „წესები და პირობები“. კომპანიის ადმინისტრაცია უფლებას იტოვებს, ნებისმიერ დროს, ამავე ვებგვერდზე გამოქვეყნების გზით, შეიტანოს ცვლილებები პირობებში.

#### 1. მომხმარებლის ანგარიშის (პროფილის) განხილვა/დახურვა

კომპანიის მომსახურებით სარგებლობისთვის მომხმარებელი, რომელიც წარმოადგენს იურიდიულ პირს, ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია ქვემოთ ხსენებული „წესებისა და პირობების“ შესაბამისად, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში, მომხმარებელს შეუძლია რეგისტრაციის გარეშე შეიძინოს პროდუქცია/საქონელი. რეგისტრაციის პროცესში

მომხმარებელი ვალდებულია განაცხადოს თანხმობა არსებულ პოლიტიკაზე.

რეგისტრაციის შემთხვევაში, მომხმარებლის მიერ კომპანიის მომსახურებით სარგებლობისთვის:

- მომხმარებელი შედის ვებგვერდზე: [www.supta.ge](http://www.supta.ge)
- იურიდიული პირის შემთხვევაში რეგისტრაციის გვერდზე უთითებს კომპანიის სახელს, წარმომადგენლის სახელსა და გვარს, საიდენტიფიკაციო კოდს, ელ.ფოსტის მისამართს, წარმომადგენელი პირის მობილურის ნომერს და ადასტურებს მას sms ვერიფიკაციის საშუალებით, მისამართს, პაროლს და ნიშნავს „დაეთანხმეთ პირობებს“.
- ფიზიკური პირის შემთხვევაში რეგისტრაციის გვერდზე უთითებს სახელს, გვარს, ელ.ფოსტის მისამართს, მობილურის ნომერს და ადასტურებს მას sms ვერიფიკაციის საშუალებით, მისამართს, პირად ნომერს, პაროლს და ნიშნავს „დაეთანხმეთ პირობებს“.
  - რეგისტრაციის დასრულების შემდეგ მომხმარებელი უფლებამოსილია ისარგებლოს ვებგვერდზე შემოთავაზებული მომსახურებით.
  - მომხმარებელი ვალდებულია ყოველთვის უსაფრთხოდ შეინახოს მისი პირადი ანგარიშის (პროფილის) წვდომის კოდები და არასდროს გაუმჟღავნოს ისინი მესამე პირს.
  - თუ მომხმარებელი ფიქრობს, რომ მისი ანგარიში გამოყენებულია მესამე პირის მიერ, დაუყოვნებლივ უნდა შეცვალოს მისი პაროლი და აცნობოს [Supta.ge](http://Supta.ge)-ს მეილის საშუალებით [support@supta.ge](mailto:support@supta.ge), რის შემდეგაც მოხდება ანგარიშის გაუქმება/სხვა ანგარიშის შექმნა.
  - მომხმარებელი კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას მისი ანგარიშით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე. იმ შემთხვევაშიც, თუ პირი სხვისი სახელითა და მითითებით ახორციელებს წვდომას მომხმარებლის ანგარიშზე. კომპანია არ არის პასუხისმგებელი მესამე პირის მიერ მომხმარებლის ანგარიშზე წვდომისას მიყენებულ ზიანზე.
  - თუ მომხმარებელს ანგარიშის გაუქმება და მისი მონაცემების წაშლა სურს, აუცილებლად უნდა დაუკავშირდეს [Supta.ge](http://Supta.ge)-ს, მოგვწეროს ან დაგვირეკოს ამის თაობაზე და მიიღებს შესაბამის დახმარებას.  
კონტაქტი: [support@supta.ge](mailto:support@supta.ge)  
(032) 2 11 06 26
- [Supta.ge](http://Supta.ge) უფლებამოსილია მომხმარებელს ცალმხრივად შეუზღუდოს ვებგვერდით სარგებლობის უფლება, თუ თვლის რომ დაირღვა ზემოთ აღნიშნული წესი ან პირობა, რა თქმა უნდა, მომხმარებლის მიერ მითითებულ მეილზე შეტყობინების გაგზავნის შემდეგ.
- მომხმარებელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დახუროს

ანგარიში და შეწყვიტოს კომპანიასთან თანამშრომლობა საკუთარი სურვილის მიხედვით.

## **2. ანგარიშსწორების მეთოდები**

[www.supta.ge](http://www.supta.ge)-ზე არსებობს ანგარიშსწორების სამი მეთოდი

- საბანკო გადარიცხვის მეთოდით, ინვოისის საფუძველზე.  
ეს მეთოდი გამოიყენება, როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირების შემთხვევაში. ( საჭიროებს რეგისტრაციას)  
**გააფორმე შეკვეთა (მიიღე ინვოისი მეილზე)** - ღილაკზე დაჭერით.
- საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მიერ გაცემული საკრედიტო ან სადებეტო ბარათებით. იურიდიული პირების შემთხვევაში აუცილებელია რეგისტრაცია ან ავტორიზაცია და გადახდა ბიზნეს ბარათით, ხოლო ფიზიკური პირების შემთხვევაში რეგისტრაცია/ავტორიზაციის გარეშეც არის შესაძლებელი განთავსდეს შეკვეთა **გადახდა ბარათით** -ღილაკზე დაჭერით.
- 6 (ექვსი) კრიპტო ვალუტით ( Bitcoin , LiteCoin, Bitcoin Cash, Bitcoin gold, Dash და Z cash)ეს მეთოდი გამოიყენება ძირითადად ფიზიკური პირების შემთხვევაში, როგორც რეგისტრირებული, ასევე არარეგისტრირებული მომხმარებლებისთვის მხოლოდ მობილური ნომრის მითითებით. კალათის გვერდზე ვაჭერთ ღილაკს - **Pay with Crypto**.
- თანხის დაბრუნება/ანაზღაურებასთან დაკავშირებულ პირობებზე იხ. გვერდი „[დაბრუნების პოლიტიკის](#)“ შესახებ.

## **3.სისტემაში შემავალი უნივერსალური იდენტიფიკატორები და მათი გამოყენება - პერსონალური მონაცემები**

მომხმარებელი რეგისტრაციის დროს ავსებს საჭირო ველებს, რომლის საშუალებითაც ხდება მასთან დაკავშირება, პროდუქციის მიწოდება და საჭირო დოკუმენტაციის აქტივაცია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე.

- **მომხმარებლის/კომპანიის სახელი** - ავტორიზაციისთვის ერთ-ერთი საჭირო პარამეტრი, (ვიყენებთ მომხმარებლის იდენტიფიცირებისთვის).
- **პაროლი** - ავტორიზაციისთვის საჭირო ერთ-ერთი პარამეტრი, რომელსაც მომხმარებელი თავად განსაზღვრავს და შეუძლია შეცვალოს ნებისმიერ დროს.
- **ელექტრონული ფოსტა** - წარმოადგენს უნიკალურ მაიდენტიფიცირებელ პარამეტრს, სადაც მომხმარებელი იღებს მისთვის საჭირო კოდებს, პარამეტრებს (არსებობის შემთხვევაში)

ასევე გამოიყენება კომპანიის ან მისი მხრიდან კომუნიკაციის ერთ-ერთ საშუალებად.

- **მობილურის ნომერი** - წარმოადგენს უნიკალურ მაიდენტიფიცირებელ პარამეტრს, სადაც მომხმარებელი იღებს მისთვის საჭირო კოდებსა და ინფორმაციას, რასაც კომპანია იყენებს მასთან კომუნიკაციის ერთ-ერთ საშუალებად საჭიროების შემთხვევაში.
- **მისამართი** - საჭიროა მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი შეკვეთის ზუსტ ლოკაციაზე მიწოდებისთვის.
- **პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი** - წარმოადგენს უნიკალურ მაიდენტიფიცირებელ პარამეტრს და საჭიროა მომხმარებლის იდენტიფიკაციისთვის, ასევე მნიშვნელოვანია შემოსავლების ვებგვერდზე დოკუმენტაციის აქტივაციისთვის.

#### **4. ავტორიზაცია**

- ანგარიშის (პროფილის) რეგისტრაციისა და ვერიფიკაციის შემდეგ, ვებგვერდის გამოყენების მიზნით მომხმარებელი გადის ავტორიზაციას.
- ავტორიზაცია ხორციელდება მომხმარებლის მიერ დაფიქსირებული ელ-ფოსტის ან მობილური ტელეფონის ნომრის და პაროლის შეყვანით.
- ავტორიზაციისას მომხმარებელი უფლებამოსილია საკუთარ მონაცემებს დაუკავშიროს, მათ შორის, სოციალური ქსელ(ებ)ის (facebook, google) გვერდ(ებ)ი და ვებგვერდზე შესასვლელად გამოიყენოს საკუთარი სოციალური ქსელის ანგარიში (ასეთი ტექნიკური შესაძლებლობების არსებობის შემთხვევაში).

#### **5. შეგროვებული მონაცემების გამოყენება**

როდესაც მომხმარებელი იყენებს პლათფორმას [www.supta.ge](http://www.supta.ge) , მონაცემები ავტომატურად გროვდება და ინახება სერვერზე:

- ეს მონაცემები შეიძლება წარმოადგენდეს ისეთ სახეს, როგორცაა IP მისამართი, ბრაუზერის ტიპი,ვერსია, მოწყობილობის ტიპი და ა.შ.
- ინფორმაცია, რომელსაც თქვენი ბრაუზერი აგზავნის, როდესაც თქვენ შედიხართ ვებგვერდზე.
- პლათფორმის გვერდები, რომელსაც თქვენ ეწვიეთ, ვიზიტის დრო და თარიღი, ამ ვიზიტის ხანგრძლივობა და სხვა სტანდარტული ანალიტიკური მონაცემები.

#### **6. ნივთის/მომსახურების შერჩევის, შეკვეთის განთავსებისა და მიღების პროცედურა**

- ავტორიზაციის შემდეგ მომხმარებელი ირჩევს მისთვის სასურველი პროდუქციის კატეგორიას, რის შემდეგაც მას საშუალება ეძლევა მოახდინოს მონაცემთა ფილტრაცია სასურველი კატეგორიის, პროდუქტის მახასიათებლების ან/და სხვა შეთავაზებული მონაცემების მიხედვით.
- მომხმარებელი „კალათაში დამატება“ ღილაკის მონიშვნით ირჩევს და ათავსებს მისთვის სასურველ პროდუქტს საკუთარი პროფილის კალათაში.
- პროდუქტის კალათაში განთავსების შემდეგ, საკუთარ კალათაზე გადასვლით მომხმარებელი გადამისამართდება ანგარიშსწორების გვერდზე, სადაც გამოუჩნდება არჩეული პროდუქტები, ჯამური თანხა და შესაძლებლობა ექნება აირჩიოს გადახდის სასურველი მეთოდი.
- მომხმარებელი აცხადებს უპირობო თანხმობას, მისი კუთვნილი ანგარიშიდან მოხდეს კომპანიის კუთვნილი მომსახურების საფასურის ჩამოჭრა.
- მომხმარებელი ადასტურებს, რომ კომპანია არ არის პასუხისმგებელი პროდუქციის/საქონლის ჩაბარებიდან 14 კალენდარული დღის შემდეგ გამოვლენილ რაიმე სახის ნაკლთან მიმართებაში.
- მომხმარებელს უფლება აქვს ისარგებლოს შეძენილი ნივთის დაბრუნების უფლებით „უკან დაბრუნების პოლიტიკის“ მიხედვით (იხ. ფაილი „უკან დაბრუნების პოლიტიკა“ <https://supta.ge/ka/90-return-policy/> )
- მომხმარებელი პლატფორმის საშუალებით შეძენილი ნივთის მიღებას შეძლებს წინასწარ განსაზღვრული მიტანის სერვისის წესების მიხედვით (იხ. პუნქტი 7)

## **7. შეძენილი ნივთის მიმღები/ჩამბარებელი შეიძლება იყოს**

- თავად შეძენი (მომხმარებელი) პირადად.
- მომხმარებლის მიერ მითითებული ნებისმიერი სხვა პირი.
- თუ მომხმარებელი არ იბარებს შეძენილ ნივთს პირადად და სურს, რომ მის ნაცვლად ჩაიბაროს სხვა პირმა, ასეთ შემთხვევაში, მან კომპანიას უნდა მიაწოდოს სხვა მიმღების პირადი მონაცემები, რათა კომპანიამ მოახდინოს შეკვეთის ჩამბარებელი პირის სწორად იდენტიფიცირება.
- კომპანია უფლებას იტოვებს შეიტანოს ცვლილება მომსახურების პირობებში, ან სრულად შეზღუდოს წვდომა გარკვეულ სერვისებზე ან პროდუქტებზე.

## **8. მიწოდების სერვისი**

მიწოდების სერვისი მუშაობს ყოველდღე, კვირის გარდა 10:00-18:00 სთ-მდე

(18:00ის შემდეგ მიღებული შეკვეთის მიწოდება განხორციელდება მეორე სამუშაო დღეს)

მიწოდების პირობები თბილისის მასშტაბით:

- მინიმალური შეკვეთის ოდენობა - 50 ლარი
- 50 - 100 ლარამდე შეკვეთის მიწოდება - 5 ლარი
- 100 ლარის ან მეტი ღირებულების შეკვეთის მიწოდება - უფასო

ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ მოგვწეროთ [support@supta.ge](mailto:support@supta.ge), ან დაგვირეკოთ ნომერზე: 032 2 11 06 26

**ჩვენი სერვისის გამოყენებით ადასტურებთ, რომ წაიკითხეთ და გაეცანით ამ წესებს/პირობებს და ეთანხმებით მას**